

გუბერნატორის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა 9 აპრილს დალუპულთა ხსოვნას პატივი მიაგეს

09 აპრილი 2017

1989 წლის 9 აპრილს დალუპულთა ხსოვნას პატივი მიაგეს 9 აპრილის სახელობის სკვერში შიდა ქართლის გუბერნატორმა, კახა სამხარაძემ, შიდა ქართლის რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციის, ქალაქ გორისა და გორის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებმა და დალუპულთა მემორიალი გვირგვინებით შეამკეს. მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ - საგანმათლებლო ცენტრის აღსაზრდელების მონაწილეობით ღონისძიება გაიმართა, დასასრულს კი სიმბოლურად მტრედეები გაუშვეს.

28 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა არმიამ თბილისში, რუსთაველის გამზირზე საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით შეკრებილი მშვიდობიანი დემონსტრანტები სასანგრე ნიჩბების, ხელკეტებისა და გაზის გამოყენებით დაარბია. 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით კი 9 აპრილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ გამოაცხადა.